მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №15

ქ. მარტვილი 01 ნოემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე, დამთავრდა 13:30 სთ-ზე

რეგისტრაცია გაიარეს: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, დათო ხელაია, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკაია, ნათია ქაჯაია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია და მაგდა შირავა.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 26, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 ნოემბრის რიგგარეშე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 ნოემბრის განკარგულება № 38 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი - ლევან სურმავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/

2. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი - ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ-ის ბონდო თოფურიას მოხსენება ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უნდა გაიზარდოს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, კერძოდ დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა 322200 ლარით და ნაცვლად 12605400 ლარისა განისაზღვროს 12927600 ლარის ოდენობით, შესაბამისად გაიზრდება მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გადასახდელები 322200 ლარით და საკრებულოს წევრებს გააცნო თუ რა ღონისძიებების დასაფინანსებლად იქნება აღნიშნული თანხა მიმართული, ასევე ისაუბრა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილში ცვლილების შეტანაზე. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრება 24208025 ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელები გარდამავალი ნაშთის გათვალისწინებით განისაზღვრება 27651688 ლარის ოდენობით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ საკრებულოს წევრებმა კითხვები დაუსვეს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ-ს ბონდო თოფურიას, რომელმაც გასცა პასუხი დასმულ შეკითხვებს.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 25, წინააღმდეგი 0, თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 ნოემბრის №17 დადგენილება სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა